ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბონდო თედორაძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის განხილვის თაობაზე;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამული სურმანიძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის განხილვის თაობაზე;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 თებერვლის N01-14/1265 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის შესრულების ცნობად მიღების შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ.ქობულეთი **26 თებერვალი 2021 წელი**

სხდომა დაიწყო 12-00 საათზე

დამთავრდა: 14-30 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, ლია შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, ვიტალი ქარცივაძე, ვაჟა შავიშვილი, გიორგი გოგიტიძე, სულხან გორჯელაძე, მამია ჟორდანია, ნარგიზ რომანაძე, ნაილე ლაზიშვილი, მერაბ ცინცაბაძე, დავით წულუკიძე, გელა გოგიტიძე, ავთანდილ გოგიბერიძე, მამული სურმანიძე, მამუკა შამილიშვილი, მანუჩარ ნიჟარაძე, გენადი თამაზაშვილი, რომან მოწყობილი, ქეთინო ქათამაძე, ავთანდილ ანანიძე, ედნარ თურმანიძე, სოსო ჯაფარიძე, თემურ მოწყობილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: პაატა ცინარიძე, ჯანსუღ ჯინჭარაძე, მალხაზ დიასამიძე, ლელა ვერულიძე, ბონდო თედორაძე, არჩილ დუმბაძე, ავთანდილ ზოიძე, გურამ აბაშიძე, თედო ტაკიძე, გია მჟავანაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ქობულეთი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - დავით ვერულიძე;

TV - აჭარა; TV - რუსთვი2; TV - ფორმულა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მამუკა გოგიტიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვალის რიგგარეშე სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II

სტრუქტურული ერთეულის უფროსს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძეს.

სხდომის დაწყებამდე, დავით მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას - დეპუტატებს, მედიის წარმომადგენლებს და მოქალაქეებს სხდომაზე გამოცხადებისათვის და მაღალი ჩართულობისთვის. ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სამედიცინო პერსონალს და ყველა იმ ადამიანს, ვინც იცავს მოქალაქეების ჯანმრთელობას. წარმატება უსურვა, ასევე ახლად არჩეულ მთავრობას და პრემიერ მინისტრს - ირაკლი ღარიბაშვილს. დავით მჭედლიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად კი, კვლავ მკაცრად იქნება დაცული დაწესებული რეგულაციები. თავმჯდომარემ დეპუტატებს გააცნო წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შენიშვნები და წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბონდო თედორაძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამული სურმანიძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 თებერვლის N01-14/1265 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის შესრულების ცნობად მიღების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ვერულიძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 2

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბონდო თედორაძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე - მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ბონდო თედორაძე ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ დასწრებია საკრებულოს, ბიუროსა და კომისიის სხდომებს. იგულისხმება 2020 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ - არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მიიღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. კანონის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ აცნობა ბონდო თედორაძეს ამის შესახებ და მოსთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში გამოუცხადებლობა ჩათვლოდა საპატიოდ. ბონდო თედორაძემ წამოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მის მიერ ნოემბრის თვეში ჩატარებულ სხდომაზე არ დასწრების მიზეზი გახლდათ, მამის - გიული თედორაძის კორონა ვირუსით დაავადება, რის გამოც ოჯახი სრული შემადგენლობით იმყოფებოდა თვითიზოლაციაში და საშუალება არ მიეცა საკრებულოს სხდომაზე დასწრების. ხოლო, რაც შეეხება დეკემბერში ჩატარებულ სხდომას იმყოფებოდა თბილისში პარტიის ყრილობაზე დასასწრებად და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ვერ მოახერხა თბილისიდან დროულად დაბრუნება. ასევე, წარმოდგენილი აქვს ფრაქციის სხდომის ოქმი, რომელიც საკრებულოს აპარატში არ ფიქსირდება. მამია ჟორდანიამ ასევე აღნიშნა, რომ კომისიამ იმსჯელა, ბონდო თედორაძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. თუმცა დასახელებული მიზეზები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიისათვის არ იქნა სარწმუნოდ მიჩნეული, რის გამოც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ბონდო თედორაძეს ვადამდე ადრე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მამუკა შამილიშვილი დაინტერესდა კანონის შესაბამისი მუხლის ჩანაწერით რომლითაც იხელმძღვანელა იურიდიულმა კომისიამ.

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის მეხუთე პუნქტით - თუ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს ამ კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს ან ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

მერაბ ცინცაბაძემ განაცხადა, რომ მითითებულ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლში წერია საკრებულოს საქმიანობაში არმონაწილეობა და საკრებულოს სხდომა არის სხვა საკითხი.

მამია ჟორდანია - საკრებულოს საქმიანობაა საკრებულოს სხდომა, ბიუროს, კომისიისა და ფრაქციის სხდომა.

მერაბ ცინცაბაძე - საკრებულოს წევრის უფლებამოსილებებს რატომ უარყობთ?

მამია ჟორდანია - საქმიანობის ფორმები და უფლება-მოვალეობები სხვადასხვა საკითხია.

მერაბ ცინცაბაძე - საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება ითვლება, თუ არა საკრებულოს საქმიანობაში?

მამია ჟორდანიამ მერაბ ცინცაბაძეს ისევ განუმარტა, რომ საკრებულოს საქმიანობაში ითვლება საკრებულოს სხდომა, ბიუროს, კომისიისა და ფრაქციის სხდომა.

ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულო კოლეგიალური ორგანოა, რაც გულისხმობს საკითხების თანმიმდევრულ განხილვას. კითხვის დასმის შემთხვევაში დაელოდოთ უნდა პასუხს. რაც შეეხება საკითხს არცერთი დეპუტატის თვითმიზანი არ გახლავთ ოპოზიციური ფრთის დეპუტატების საკრებულოდან გაშვება, მაგრამ კანონი არის უზენაესი. რაც შეეხება საკრებულოს მუშაობის ფორმებს, თავის დროზე მოქალაქეებმა იმიტომ მოგვცა ხმა თითოეულ ჩვენგანს, რომ მათი ინტერესები სწორედ საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა თუ სხდომების საშუალებით

გაჟღერდეს. მთელი ექვსი თვის მანძილზე მათ ეს საშუალება არ გამოიყენეს. რა საბუთები აქვს წარმოდგენილი ბონდო თედორაძეს იმისთვის, რომ გაცდენილი სხდომები ჩაეთვალოს საპატიოდ.

მამია ჟორდანია - ბონდო თედორაძემ წამოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მის მიერ ნოემბრის თვეში ჩატარებულ სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი გახლდათ, მამის კორონა ვირუსით დაავადება, რის გამოც ოჯახი სრული შემადგენლობით იმყოფებოდა თვითიზოლაციაში და საშუალება არ მიეცა საკრებულოს სხდომაზე დასწრების. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მის მიერ იზოლაციაში ყოფნის მითითებული პერიოდი არ ემთხვევა საკრებულოს სხდომას. ხოლო, რაც შეეხება დეკემბერში ჩატარებულ სხდომას იმყოფებოდა თბილისში პარტიის ყრილობაზე დასასწრებად და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ვერ მოახერხა თბილისიდან დროულად დაბრუნება. ასევე, წარმოდგენილი აქვს ფრაქციის სხდომის ოქმი, რომელიც საკრებულოს აპარატში არ ფიქსირდება. მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ მის მიერ გამოკვლეულ იქნა აღნიშნული საკითხი, როგორც ირკვევა საკრებულოს აპარატმა ოფიციალურად ელექტრონულად მიაწოდა ბიუჯეტის პროექტი ორთავე ფრაქციას, მაგრამ არცერთ ფრაქციას ოფიციალურად არანაირი რეაგირების შესახებ არ მოუმართვათ. არც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისათვის აქვთ წარდგენილი ბიუჯეტის მიმართ შენიშვნები. ხუთი თვის გაცდენის შემდეგ ერთი თვეც, რომ დასწრებოდა სხდომას არ დაიწყებოდა მსგავსი საქმისწარმოება.

მერაბ ცინცაბაძემ მიმართა მამია ჟორდანიას, რომ დასახელებული დოკუმენტების გარდა ბონდო თედორაძეს წარმოდგენილი აქვს ორი წერილი მერის სახელზე და ამის შესახებაც ესაუბრა დეპუტატებისთვის.

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ბონდო თედორაძის წერილები მერის სახელზე ეხება სოფლის მხარდაჭერის შესახებ პროგრამას და მეორე, კაიკაციშვილის ქუჩის N4-ში მდებარე მრალსართულიანი კორპუსის მშენებლობის პროექტის ქსეროასლებს. თუმცა, მერზე წერილობით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს.

მამუკა შამილიშვილი - ნუ იქნება მიზანმიმართული მცდელობა, რომ მსჯელობის სწორი ხაზიდან გადავუხვიოთ. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში უფლებამოსილება და ვალდებულება. შესაძლოა როგორც დეპუტატი საკრებულოს საქმიანობას ახორციელებდა ბონდო თედორაძე, მაგრამ გარდა ამისა დეპუტატს აქვს ვალდებულება საკრებულოს სხდომებზე დასწრების.

ნათია თხილაიშვილი - გასაგებია, რომ დეპუტატს საკრებულოს სხდომის გარდა აქვს სხვა ვალდებულებებიც, შეხვდეს მოქალაქეებს, მოისმინოს მათი პრობლემები და უნდა იბრძოლოს მისი აღმოფხვრისთვის. ამ ინფორმაციის გაჟღერების და პრობლემების მოგვარების მცდელობის ერთადერთი საშუალება დეპუტატისთვის არის სწორედ საკრებულოს სხდომა. უბრალოდ

მოკითხული ყველა მოქალაქის პრობლემა თუ არ მოიტან მათ გასაჭირს და არ მოითხოვს მათ გადაჭრას იმ ტრიბუნიდან, სადაც გაქვს ამის ვალდებულება არასწორია. ეს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობაა. ბიუჯეტის 2021 წლის პროექტის განხილვაში როგორ არ უნდა მიიღოს დეპუტატმა მონაწილეობა, როცა სწორედ ამ პროექტით უნდა იხელმძღვანელოს მუნიციპალიტეტმა ფინანსური კუთხით მიმდინარე წელს. დაეფიქსირებინათ თავიანთი შენიშვნები ბიუჯეტის ირგვლივ, გამოეხატათ თავიანთი პოზიცია. ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო გასული 6 თვე. საარჩევნო პერიოდი იყო და მოსახლეობასთან შესახვედრად დადიოდა ყველა დეპუტატი, ეს არ არის გამოუცხადებლობის არგუნენტი.

გიორგი გოგიტიძემ აღნიშნა, რომ იურიდიული კუთხით რა ვადებულებები და მოვალეობები აქვს დეპუტატს უკვე ბევრჯერ გაჟღერდა და ამაზე აღარ ისაუბრებს. თუმცა დეპუტატის მანდატი ბონდო თედორაძისთვის არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ორი დღის უკან ბონდო თედორაძემ სოციალური ქსელის - „ფეისბუქი"-ს საშუალებით გააკეთა პირდაპირი ჩართვა და განაცხადა, რომ არ აინტერესებს საკრებულოს მანდატი, აქედან გამომდინარე არცერთი იმ მოქალაქის აზრი, რომელმაც თავის დროზე მას დაუჭირა მხარი და გამოუცხადა ნდობა. ასევე, თითოეულ საკრებულოს წევრს მიმართა უცენზურად და შეურაცხმყოფელად და ეს მაშინ, როცა მან წინასწარ არ იცის რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულო, რადგან დღეს ამ საკითხის განხილვის თაობაზე არის შეკრებილი. მისი უტაქტო ქმედების შესაფასებლად რთულია მოიძებნოს შესაბამისი სიტყვები. მთელი 6 თვის განმავლობაში აარიდა თავი თავის პასუხისმგებლობას და გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებს საკრებულოს წევრებს, სადაც იმყოფებიან ქალბატონები და ასევე, ყველა მისი რეგიონის მკვიდრია. ამის შემდეგ როგორ არ გრცხვენიათ ნაციონალური მოძრაობის წევრებს, რომ მის გამართლებას ცდილობთ და ყველაფერს პოლიტიკურ ჭრილში ხედავთ. კითხვით მიმართა მამია ჟორდანიას - აქვს თუ არა ვალდებულება დეპუტატს, რომ გამოუცხადებლობა აცნობოს საკრებულოს ხელმძღვანელობას? თუ არ აქვს დეპუტატს სხდომებზე გამოცხადების ვალდებულება მაშინ ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრები რატომ ესწრებოდნენ სხდომებს? ბონდო თედორაძე თვითონ იურისტია და მისთვისაც ცხადი იყო, რომ უნდა გამოცხადებულოყო სხდომებზე, მაგრამ ეს არ ჩათვალა საჭიროდ, რადგან მისი ინტერესის სფერო არ არის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მანდატი.

მამია ჟორდნია - დეპუტატს კანონი არ ავალდებულებს გამოუცხადებლობის მიზეზი აცნობოს საკრებულოს ხელმძღვანელობას.

დავით წულუკიძემ აღნიშნა, რომ ბონდო თედორაძის საქციელი, რაც მან ჩაიდინა ორი დღის უკან, შეურაცხყოფა მიაყენა კოლეგებს და განსაკუთრებით მანდილოსნებს უღირსი ქმედება იყო. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის სხდომას, რომ ჩატარებულიყო მას აუცილებლად

გააშუქებდა საკრებულოს აპარატი, რადგან საკრებულოს აპარატის საინფორმაციო სამსახური უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომების, მათ შორის ფრაქციის დასურეთებას. ოქმიც ისეთი შედგენილია კონკრეტული შენიშვნაც კი არ არის დაფიქსირებული ბიუჯეტის ირგვლივ.

მერაბ ცინცაბაძე - რადგან უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საკითხი საკრებულოს სხდომამდე მოვიდა განსახილველად ბუნებრივია, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

გიორგი გოგიტიძემ მიმართა მერაბ ცინცაბაძეს, რომ თვითონ მოუსმინოს ბონდო თედორაძის მონათხრობს, თუ რისკენ მოუწოდებს ის თითოეულ დეპუტატს გადაწყვეტილების მიღებამდე და თუ ამას კიდევ პოლიტიკურ გადაწყეტილებას უწოდებს გამოდის, რომ თვითონაც მისი მსგავსია და თუ რამე ღირებულებები შერჩენია მოერიდოს ბონდო თედორაძის გამართლებას, რადგან მისი საქციელი გაუმართლებელია კოლეგების და განსაკუთრებით მანდილოსნების მიმართ. ურთიერთპატივისცემა ერთმანეთის მიმართ მოეთხოვება როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას.

მერაბ ცინცაბაძე - ჩანაწერი რომლითაც თქვენ ხელმძღვანელობთ ჩაწერილია 2 დღის უკან, რადგან თქვენს მიერ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე მეტყველებს იურიდიული კომისიის 19 თებერვლის დღის წესრიგი საიდანაც ირკვევა, რომ თქვენ უკვე გადაწყვეტილი გქონდათ უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტა, რადგან საკითხი წარმოდგენილი იყო არა როგორც უფლებამისოლების საკითხის განხილვა, არამედ როგორც უფლებამოსილების შეწყვეტა. კომისიაზე განხილვისა და მსჯელობის გარეშე უკვე მიღებული გქონდათ გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგვარი ფორმულირება ექნებოდა იურიდიული კომისიის დღის წესრიგს.

მამია ჟორდანიამ მერაბ ცინცაბაძეს განუმარტა, რომ კომისია ბიუროს წარუდგენს დასკვნას საკითხის ირგვლივ და ბიურო ღებულობს გადაწყვეტილებას შევიდეს, თუ არა საკითხი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ნებისმიერი საკითხის ირგვლივ ღებულოს საკრებულო. ასე, რომ კომისიის დღის წესრიგი არ არის ძირითადი განმსაზღვრელი გადაწყვეტილების მიღებისას.

ნარგიზ რომანაძემ ახსენა კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები - ვინც არ უნდა იყვე და რაგინდ დიდი ქმნილების წინაშე არ უნდა იყო გახსოვდეს უბრალო ადამიანი მეტ ყურადღებას იმსახურებს, მეტ პატივისცემას იმსახურებს. ვაი ჩვენ და ჩვენ კოლეგებს, ვინც არ უნდა იყვეს ის პოზიცია, თუ ოპოზიცია, ქართველი ხარ, ქართველი მამაკაცი ხარ, ქართველი დედა გყავს. როგორ შეიძლება შენი კუთხის კოლეგას, ან რიგითს, უბრალო ადამიანს აკადრო ასეთი რამე. შეიძლება არ გინდა და არ გჭირდება ეს მანდატი, მაგრამ იყავი ღირსეული და ის მანდატიც ისე დათმე როგორც ეს ქართველ ვაჟკაცს ეკადრება. არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ და ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმას

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. რატომ უნდა აკადრო შენს კოლეგას მსგავსი რამ? აკაკი ბაქრაძეს უთქვამს - ხალხი შეიძლება იყოს ერი და შეიძლება იყოს ბრბო, ამას ბრბოსაც არ აკადრებს ადამიანი. რომელი საკრებულოს წევრი არის ღირსი ბონდო თედორაძის შეურაცხყოფის? პირველ რიგში ადამიანმა საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი, რომ სხვების პატივისცემაც შეძლოს. მალე ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოვა და ნაწილი დეპუტატების რიგითი მოქალაქეები ვიქნებით, მაგრამ გამართული სალამი ხომ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს ქუჩაში და ვაი მას, ვისაც სალამის უფლება არ ექნება.

მერაბ ცინცაბაძე - იურიდიულ კომისიას სხვაგვარად უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" გარდა 43-ე მუხლისა, გვაქვს 46-ე მუხლი საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმების შესახებ. საკრებულოს სხდომაში რომ დეპუტატი მონაწილეობს ეს არის მისი უფლებამოსილების განხორციელება. თქვენ ამტკიცებთ იმას, რომ საკრებულოს საქმიანობა შემოიფარგლება მარტო საკრებულოს, ბიუროსა და კომისიის სხდომით. საკრებულოს საქმიანობა არ არის მხოლოდ საკრებულოს სხდომა. საკრებულოს წევრის საქმიანობაში ითვლება ასევე ამომრჩეველთან შეხვედრა. მაგრამ თქვენ ანგარიშს არ უწევთ ამას. ნუ უგულებელყოფთ საკრებულოს წევრის ყველა სხვა უფლებამოსილებას გარდა საკრებულოს სხდომისა. თქვენს მიერ დასახელებული ვალდებულება ერთ-ერთია და არა ერთადერთი. მერაბ ცინცაბაძემ ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით მიმართა ნათია თხილაიშვილს და განმარტა, რომ არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნაციონალური მოძრობის მიერ დასახელებული შენიშვნები გათვალისწინებულიყო და ასახულიყო მომავალი წლის ბიუჯეტში და სწორედ ამიტომ არ მიიღეს მონაწილეობა განხილვებში. ასევე მიმართა ლია შაქარიშვილს კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით და მოუწოდა შეეხედა მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და გამოეთხოვა ინფორმაცია რა ხდება პუშკინის N4-ში. ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებით კი მამია ჟორდანიას მოსთხოვა თუ ახორციელებს კონტროლს 2020 წლის N1 განკარგულებაზე, როგორც ეს კანონით დაევალა. და თუ კონტროლს არ ახორციელებს ეს სისხლის სამართლის დანაშაულია.

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ვერ ხვდება მერაბ ცინცაბაძე რის პასუხისმგებელ პირად თვლის მას ან რა სამართლებრივ შედეგებზე საუბრობს საერთოდ.

ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ თვითმმართველობაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს მერაბ ცინცაბაძესთან ერთად. კანონის უზენაესობის კუთხით კი მერაბ ცინცაბაძეს კარგად მოეხსენება, რომ უკიდურესად კეთილსინდისიერად ეწეოდა თავის საქმიანობას და მიუღებელია ნებისმიერი გადაცდომა და თუ ასეთ რამეს აქვს ადგილი, ქართული ოცნება არის ის ხელისუფლება, რომელიც მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში არავის დაინდობს. რაც

შეეხება საკრებულოს წევრის საქმიანობის ძირითადი ფორმები, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად არის საკრებულოს კომისიებსა და სხდომებში მონაწილეობა. რაც შეეხება მერიაში განხორციელებულ კორესპოდენციას ეს შეიძლება ნებისმიერმა მოქალაქემ გააკეთოს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონთან შესაბამისობაში და საკრებულოს წევრებს მოუწოდა გადაწყვეტილება მიიღონ ცივი გონებით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - საკრებულოს წევრის ბონდო თედორაძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 2

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N15

(განკარგულება თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდეგ მოქალაქემ - რობინზონ გვიანიძემ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრი არ ჰყავს და რომ ირაკლი ღარიბაშვილია არის ბიძინა ივანიშვილის ხელქვეითი. ბონდო თედორაძის მიმართ დაწყებული საქმიანობა არის პოლიტიკური დევნა და სხვა არაფერი.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამული სურმანიძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე - მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა რომ, მამული სურმანიძის საკითხი იდენტურია ბონდო თედორაძის საკითხთან. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიულის" თავმჯდომარე მამული სურმანიძე ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ დასწრებია საკრებულოს, ბიუროსა და კომისიის სხდომებს. იგულისხმება 2020 წლის ივლისის ბოლოდან დეკემბრის ბოლომდე პერიოდი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ -არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 (ექვსი) თვის

განმავლობაში არ მიიღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში; კანონის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ აცნობა მამული სურმანიძეს ამის შესახებ და მოსთხოვა წარმოედგინა საბუთები, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში გამოუცხადებლობა ჩათვლოდა საპატიოდ. მამული სურმანიძემ წარმოადგინა 2020 წლის 10 ნოემბრის ჯანმრთელობის ცნობა საიდანაც ირკვევა, რომ მას აწუხებს სხვადასხვა დაავადებები - კიდურების დაბუჟება, მხედველობის გაუარესება, გულის ფრიალი, ადვილად დაღლა, ავადაა შაქრიანი დიაბეტით და სამ წელზე მეტია იმყოფება ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ. თუმცა არ არის ნახსენები, რომ საავადმყოფოში გაიარა მკურნალობის კურსი ან მას ჰქონდა ექიმის მიერ დანიშნული წოლითი რეჟიმი. ასევე, წარმოდგენილი აქვს დეკემბრის თვის ფრაქციის სხდომის ოქმი, რომელიც საკრებულოს აპარატში არ ფიქსირდება. მამია ჟორდანიამ განაცხადა, რომ რამოდენიმე ექიმთან გაიარა კონსულტაცია წარმოდგენილ სამედიცინო ცნობასთან დაკავშირებით. მამია ჟორდანიამ ასევე აღნიშნა, რომ კომისიამ იმსჯელა, მამული სურმანიძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. თუმცა დასახელებული მიზეზები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიისათვის არ იქნა სარწმუნოდ მიჩნეული, რის გამოც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს მამული სურმანიძეს ვადამდე ადრე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მამუკა შამილიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი იდენტურია ბონდო თედორაძის, თუმცა ერთნაირად ვერ განვიხილავთ, ბონდო თედორაძის მხრიდან შეურაცხყოფას მთელი სამი წლის განმავლობაში ვიტანდით იმის გამო, რომ ჩვენ ვართ აბსოლუტური უმრავლესობა და არ ჩაგვთვლოდა პარტიულ დისკრიმინაციაში. ძალიან ხშირად იყენებდა არაკორექტულ გამონათქვამებს ოპონენტების მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით მამული სურმანიძეზე, რომელიც ზრდილობით აღსავსე ადამიანია. თუმცა, რომელიმე უმრავლესობის წარმომადგენელს, რომ გაეცდინა ზედიზედ ექვსი თვე სხდომა იგივე საქმისწარმოება დაიწყებოდა ნებისმიერის მიმართ. დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კანონი იყოს ყველასათვის თანაბარი და არ უშვებს გამონაკლისებს. თუ მოვისმენ მტკიცე არგუმენტებს მამული სურმანიძის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე არ დავუჭერ მხარს მის მიმართ უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ მამული სურმანიძის მიერ წარმოდგენილ ჯანმრთელობის ცნობაზე იმსჯელა იურიდიულმა კომისიამ თუმცა საპატიოდ ვერ ჩათვალა, რადგან ნოემბერში გაცემულ ცნობაში არ არის მითითებული, რომ მას ესაჭიროებოდა სტაციონარული მკურნალობა და

წოლითი რეჟიმი. რაც შეეხება დიაბეტს, ეს არის დაავადება, რომელიც ცხოვრების აქტიურ წესს ხელს არ უშლის.

სოსო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მამული სურმანიძე არის სამი სოფლის მაჟორიტარი - დაბა ოჩხამურის, ჯიხანჯურისა და ცეცხლაურის. თუ მამული სურმანიძეს მოუხდება საკრებულოს დატოვება ვინ მოიტანს ამ ხალხის ხმას ჩვენამდე? ეს პიროვნებაა სწორედ იქ მცხოვრები ხალხის რჩეული. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ ესწრებოდა სხდომებს და თუ იქნება შესაძლებელი დავუშვათ გამონაკლისი მამული სურმანიძის მიმართ. დაესწროს საკრებულოს სხდომებს და მისი სოფლის სახელით ისაუბროს აქ.

ნათია თხილაიშვილმა აღნიშნა, რომ მამული სურმანიძეს ყოველდღიური შეხება აქვს მის ამომრჩეველთან და გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა მათ წინაშე. ოფიციალურად არ აქვს წარმოდგენილი ამის შესახებ და კანონი ყველასთვის ერთნაირია. წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობა თარიღდება ნოემბრის თვით, თუ გაქვთ ნოემბრის თვემდე ჩატარებული კვლევების დამატასტურებელი დოკუმენტები - საავადმყოფოსთან მიმართვიანობა, ლაბორატორიული კვლევები, რის საფუძველზეც უბნის ექიმმა შეაფასა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა. უნდა იყოს ხელჩასაჭიდი დოკუმენტი, რომელსაც დაეყრდნო და რომლითაც იხელმძღვანელა უბნის ექიმმა.

მამული სურმანიძემ აღნიშნა, რომ წელიწადნახევრის უკან მიმართა კლინიკა ,,ბომონდ"-ში ექიმ გიზო გორგილაძეს, იქ მკურნალობის დოკუმენტებიც იქნება საავადმყოფოში. შემდეგ ეს კლინიკა გადაკეთდა კოვიდცენტრად და ექიმი გადავიდა ბათუმში.

ნათია თხილაიშვილმა მიმართა მამული სურმანიძეს, რომ დიაბეტი არ არის ის დიაგნოზი, რომ რაღაც ვადის მეთვალყურეობით აღმოიფხვრას, ეს არის მთელი ცხოვრების დიაგნოზი და მასთან ერთად ცხოვრება უწევს პაციენტს. ასევე, თქვენს ერთ-ერთ ჩივილად მითითებულია მხედველობის გაუარესებაა და თუ გაქვთ ოფთალმოლოგის დასკვნა, რომ მხედველობა დაგიქვეითდათ დიაბეტის გამო? ან კარდიოლოგის დასკვნა გულის უკმარისობასთან დაკავშირებით? ამას თერაპევტი ხომ ვერ შეაფასებს ოფთალმოლოგის და კარდიოლოგის გარეშე. მხოლოდ თერაპევტის ზოგადი შეფასება საკმარისი არ არის.

მერაბ ცინცაბაძემ განაცხადა, რომ ბუნებრივია მამული სურმანიძემ მიმართა ყველა ექიმს და მათ მიერ დაწერილი დასკვნებით და ჩატარებული გამოკვლევებით შეუფასა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა უბნის ექიმმა და სწორედ საბოლოო შეფასება აქვს წარმოდგენილი.

ნათია თხილაიშვილი - მამული სურმანიძის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობაში ისეთ დიაგნოზებზეა საუბარი, რასაც თერაპევტი ვერ გადაწყვეტს. ჩატარებული გამოკვლევების და სხვადასხვა პროფილის ექიმების დასკვნების წარმოდგენას ვითხოვთ მეტი სარწმუნოობისთვის.

მერაბ ცინცაბაძემ აღნიშნა, რომ უბნის ექიმი ზეპირად ვერ დაწერდა ჯანმრთელობის ცნობას და თავისთავად ისარგებლებდა მამული სურმანიძის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით და ექიმების დასკნებით. ეს ისედაც სარწმუნოა.

გიორგი გოგიტიძემ განაცხადა, რომ თავს შეიკავებს კოლეგების პიროვნული შეფასებებისგან, რადგან კანონთან მიმართებაში ყველა თანაბარია. მამული სურმანიძემ კომისიის ჩანიშვნის დროს წარმოადგინა ცნობა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, რატომ მანამდე არ მიიჩნია საჭიროდ ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონოდა საკრებულოს? გარდა ამისა ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონები მამული სურმანიძე და ბონდო თედორაძე აღნიშნულ პერიოდში აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში და პარტიულ აქციებში. მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად საკრებულოს სხდომაზე გამოცხადება თუ არ შეეძლოთ იმ პროცესებში როგორ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას? ურთიერთშეუსაბამობაშია ეს საკითხები.

მერაბ ცინცაბაძემ განაცხადა, რომ დეპუტატს არ აქვს არანაირი ვალდებულება გაცდენების თაობაზე ვინმეს რამე აცნობოს.

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ მერაბ ცინცაბაძე ესწრებოდა იურიდიული კომისიის სხდომას, სადაც გაჟღერდა, რომ ეს დოკუმენტები არ ითვლებოდა საკმარისად, რომ გამოუცხადებლობა ჩათვლილიყო საპატიოდ. შეეძლოთ დამატებითი დოკუმენტაცია წარმოედგინათ.

მერაბ ცინცაბაძე - სავსებით საკმარისია წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობა, მაგრამ არ ითვალისწინებთ. თუ გარდაუვალი აუცილებლობაა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მიეცით მას გარკვეული ვადა და მოიტანს ყველაფერს. თავის დროზე მიწერილ წერილში მიგეთითებინათ, რომ საკმარისად არ ჩაითვლებოდა მხოლოდ ჯანმრთელობის ცნობა და წარმოედგინა ყველა ექიმთან გავლილი კვლევები და შეფასებები.

ნათია თხილაიშვილმა მიმართა მამული სურმანიძეს რატომ არ დაესწრო ის ბიუროს სხდომას? როცა იცოდა, რომ ასეთი საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო, რატომ არ დაინტერესდა საკუთარი საქმით?

ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად პიროვნული დამოკიდებულებისა მამული სურმანიძის მიმართ მაინც ჩნდება კითხვები, რომლებზეც უნდა იყოს წარმოდგენილი რელევანტური პასუხები მისი მხრიდან. დიაბეტი არ არის ის დიაგნოზი, რომელიც აქტიურ

ცხოვრებას უზღუდავს ადამიანს. აქტიური საარჩევნო კამპანია მოითხოვს ჯანმრთელობის შესაბამის მდგომარეობას და ლოგიკურად საკრებულოს სხდომებზე მოსვლაც არ უნდა გამხდარიყო პრობლემა. მიტინგებზე მონაწილეობის საშუალებას, თუ გაძლევდათ ჯანმრთელობის მდგომარეობა საკრებულოს სხდომებზე გამოუცხადებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არის საფუძველს მოკლებული. რაც შეეხება გონივრულ ვადას, თითქმის ერთთვიანი პერიოდი იყო და შეგეძლოთ შესაბამისი დოკუმენტები წარმოგედგინათ.

მამული სურმანიძემ განაცხადა, რომ იურიდიული კომისიის ხელმძღვანელის წერილით მოთხოვნილიყო დოკუმენტების წარმოდგენა და იმის შესაბამისად წარუდგინა ცნობები საკრებულოს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - საკრებულოს წევრის მამული სურმანიძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 2

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N16

(განკარგულება თან ერთვის)

13:35 წუთზე საკრებულოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 13:40 წუთზე და სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა 20 დეპუტატი.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 თებერვლის N01-14/1265 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის შესრულების ცნობად მიღების შესახებ-მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემა დავით ვერულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლისა და ,,შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანების საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად პერიოდულად განხორციელდა გეგმის კორექტირება ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებისას დაგეგმილი ღონისძიებებისა და ელექტრონული ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების საფუძველზე. ცვლილებების შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 19 468 909 (ცხრამეტი მილიონ ოთხას სამოცდარვა ათას ცხრაას ცხრა) ლარი. 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში მრავალწლიანი ღონისძიებებთან დაკავშირებით ასახულია ის ღირებულებები, რომლებიც მხოლოდ 2020 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

2020 წელს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებად მონეტარული ზღვრების შესაბამისად განისაზღვრა: ელექტრონული ტენდერი, კონკურსი, გამარტივებული შესყიდვა და კონსოლიდირებული ტენდერი.

2020 წელს ელექტრონული ტენდერები ძირითადად ჩატარდა აუქციონის გარეშე, დაფარული მონაცემებით. სულ გამოცხადებულია 137 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), 1 ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP) და 5 კონკურსი.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგად კი დაიზოგა 3 439 724 ლარი (სამი მილიონ ოთხას ოცდაცხრამეტი ათას შვიდას ოცდაოთხი). გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებსა და კონკურსებში, მონაწილე პრეტენდენთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 2.64-ს.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებიდან/კონკურსებიდან:

- უარყოფითი შედეგით დასრულდა 4 ელექტრონული ტენდერი და 1 კონკურსი;
- არ შედგა: 15 ელექტრონული ტენდერი;
- შეწყვეტილია: 9 ელექტრონული ტენდერი, 1 ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი და 1 კონკურსი;

უარყოფითი შედეგით დასრულებული, არ შემდგარი და შეწყვეტილი ტენდერებიდან ძირითადი ნაწილი ხელახლა გამოცხადდა და გაფორმდა ხელშეკრულებები.

6 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი გახდა 2020 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძებებთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ვითარება. კერძოდ, ვინაიდან გარკვეული შეზღუდული ფინანსური რესურსების მოლოდინში იყო მუნიციპალიტეტი და ამასთან საჭირო იყო არსებული ფინანსური რესურსების მაქსიმალური მიმართვა კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების დაფინანსებლად, მიზანშეწონილი გახდა ცალკეული ღონისძიებების გაუქმება.

2020 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში სულ დადებულია 174 ხელშეკრულება. მათ შორის 110 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, 3 კონკურსის, 20 კონსოლიდირებული ტენდერისა და 41 გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. დადებული 110 ხელშეკრულებიდან, რომელიც ეხება ელექტრონული ტენდერის შესყიდვებს, მათ შორის 1 ხელშეკრულება გაფორმდა ალამბრის ბაღის მოწყობის სამუშაოებზე, რომელიც 2019 წელს გამოცხადდა, როგორც მრავალწლიანი შესყიდვა (დაგეგმილი იყო 2019-2020 წლებისთვის) თუმცა სატენდერო პროცედურების გაგრძელების გამო, ხელშეკრულება დაიდო 2020 წელს.

შესყიდვის საშულება	დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება	დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა
ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე)	24 345 338.34 ლარი (მ.შ. მრავალწლიანი ხელშ.-ის ღირებულებები)	110
კონკურსი	46 020 ლარი	3
გამარტივებული შესყიდვა	274 237.99 ლარი	41
კონსოლიდირებული ტენდერი	270 089,90 ლარი	20
ჯამი	24 935 686.23 ლარი	174

განხორციელებული შესყიდვების ჯამური ღირებულების 97.63% მოდის ელექტრონული ტენდერებზე, 1.10%-გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებულ შესყიდვებზე, 1.08% კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე, ხოლო 0.18%-კი კონკურსის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებს უკავია.

დადებული ხელშეკრულებებიდან, (გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც დაიგეგმა, როგორც მრავალწლიანი შესყიდვები) მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებები შესრულდა 153 ხელშეკრულებაზე, რაც მთლიანი შესყიდვის 92%-ს შეადგენს. დარჩენილი ხელშეკრულებებიდან, რომელთა ნაწილი ვერ დასრულდა /ვერ დაფინანსდა 2020 წელს, გახდა გარდამავალი და მათი დაფინანსება განხორციელდება 2021 წელს. ასევე, 2020 წელს ქვეყანაში

არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, გაუქმდა 3 ღონისძიება/ ხელშეკრულება. კერძოდ:

მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტილი ხელშეკრულებები	ხელშეკრულების ღირებულება
კულტურული ღონისძიების, კერძოდ „დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო"ორგანიზების მომსახურების შესყიდვა	4548
სპორტული ღონისძიების (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა) ორგანიზების მომსახურების შესყიდვა	2898
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	12000.84

გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებები ვერ შესრულდა ერთ ხელშეკრულებაზე. კერძოდ: სოფელ ციხისძირში (ს.კ.20.46.03.072) არსებული საბავშვო ბაღის რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (**NAT200005292**), გამარჯვებული ორგანიზაციის ამხანაგობა "საპროექტო-საექსპერტო ჯგუფის" მიერ ვერ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო 765 ლარის ოდენობით. მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა შავ სიაში.

2020 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით სულ დაიდო 11 ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 43 070 ლარს. ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 41 888.60 ლარი.

2020 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით შეძენილი საქონელი და მომსახურება

შესყიდული საქონელი და მომსახურება	CMR მოდულში ხელშეკრულების რეგისტრაციის ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად გაწეული ხარჯი
ხელის სადეზინფექციო საშუალება	CMR200054193 (74)	2200	2200.00

ზედაპირების სადეზინფექციო საშუალება	CMR200055645 (75)	960	960.00
ხელის სადეზინფექციო საშუალება	CMR200056398 (77)	840	840.00
ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (სპეც. სათვალე და ხელთათმანი)	CMR200057704 (81)	6575	6575.00
მერის წარმომადგენლებისთვის საწვავის შესყიდვა (ნომრიანი პლასტიკური ბარათებით)	CON190000599-00618	4221	3039.60
ზედაპირების სადეზინფექციო საშუალება	CMR200060417 (86)	1150	1150.00
სამედიცინო სახარჯი მასალები-სამედიცინო ხელთათმანები	CMR200060578 (87)	350	350.00
ხელის სადეზინფექციო საშუალება	CMR200062085 (91)	675	675.00
ქუჩების სადეზინფექციო საშუალება-ნატრიუმის ჰიპოქლორიდი	CMR200062087 (92)	5049	5049.00

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 215 ჰა-ი სახნავ-სათესი ფართობის დამუშავების (გაფხვიერების სამუშაოები) მიზნით მომსახურების შესყიდვა	CMR200074403	15050	15050.00
დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება	NAT200016399	6000	6000.00

გამოცხადებული ტენდერებიდან 2020 წელს დავების განხილვის საბჭოში სულ შევიდა 3 საჩივარი. მათ შორის:

- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 საჩივარი (ქალაქ ქობულეთში, ავთანდილ ცხვედიანის მემორიალის (ქანდაკება) მოწყობის სამუშაოები, ქ. ქობულეთში, ჯავახიშვილის ქ N2-ში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები)
- დაუშვებლად იქნა მიჩნეული 1 საჩივარი (სპეც. ტექნიკის შესყიდვა).

ვაჟა შავიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის მიერ. კომისიას წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დავით ვერულიძეს მოხსენებები ყოველთვის იწვევს ნდობას.

დავით წულუკიძემ განაცხადა, რომ გასული წლის შესყიდვების ანგარიშს საფინანსო კომისიაზეც და ბიუროზეც დადებითი შეფასება მიეცა. საკრებულო მზადაა აქტიურად ჩაერთოს 2021 წლის მიმდინარე პროცესებშიც.

ვაჟა შავიშვილი დაინტერესდა ქობულეთის შემოსასვლელის ესკიზით. სთხოვა დავით ვერულიძეს საკრებულოს დეპუტატებს გააცნოს პრეზენტაციის სახით თუ როგორ გამოიყურება მაკეტი, დიზაინი როგორია. დეპუტატებს ჰქონდეთ ინფორმაცია ქალაქის შემოსასვლელში რა და როგორ კეთდება.

დავით ვერულიძემ განაცხადა, რომ ქობულეთის შემოსასვლელში ტურისტული მანიშნებლის შესახებ კონკურსი გამოცხადდა, მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა, გამოვლინდა გამარჯვებული და ხელშეკრულებაც გაფორმდა გასული წლის დეკემბრის ბოლოს. საპროექტო ფირმას ჰქონდა ვადა იანვრის ბოლომდე, ფირმას ჯერ კიდევ არ აქვს სრულად მოწოდებული პროექტი და მას ერიცხება პირგასამტეხლო. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ფირმასთან და მოლოდინის რეჟიმში ვართ პროექტის. ჯარიმას გადაიხდის ფირმა და კონსტრუქციული ნაწილი მზად არის. სრულყოფილი პროექტი როგორც კი გვექნება, წარმოგიდგენთ პრეზენტაციას.

ვაჟა შავიშვილი - კონცეფცია რა გაქვთ მოკლედ რომ გაგვაცნოთ.

დავით ვერულიძე - კონცეფცია თვითონ საპროექტო ორგანიზაციამ წარმოადგინა. კონკურსის გამოცხადების მიზანიც და შინაარსიც ესაა, რომ ტექნიკური დავალებით ვაცხადებთ კონკურსს და იდეა და კონცეფცია არის საპროექტო ორგანიზაციების.

ლია შაქარიშვილი დაინტერესდა პროექტის ფინანსური მოცულობით?

დავით ვერულიძემ უპასუხა, რომ ჯერ ხარჯთაღრიცხვა არ არის მზად და როცა გამზადდება ზუსტად გვეცოდინება თანხა. თუმცა განსაზღვრული გვაქვს, რომ ტურისტული მაჩვენებლის ფინანსური მოცულობის მაქსიმალური ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 100 ათას ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 წევრი.

მიღებულია განკარგულება N17

(განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი